

მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა

გზამკვლევი მწარმოებლებისთვის



2021



პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირებით
- ხარჯების სრული ამოღებით
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით



ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა

სარჩევი

1.	თერმინოლოგია	4
2.	ნარჩენების მართვის პოლიტიკა საქართველოში	6
3.	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)	6
4.	მგვ და ცირკულარული ეკონომიკა	9
5.	საერთაშორისო გამოცდილება მგვ-ის განხორციელებაში	10
6.	ვის ეხება მგვ საქართველოში?	13
7.	როგორ უნდა შეიქმნას მგვ-ის ორგანიზაცია?	13
8.	მგვ-ის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგების საკითხები	16
9.	კანონმდებლობა	18
9.1.	ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვა	18
9.2.	საბურავების ნარჩენების მართვა	22
9.3.	ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვა.....	24
9.4.	ნარჩენი ზეთების მართვა	30
10.	მგვ-ის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირები	32
10.1.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	32
10.2.	მუნიციპალიტეტები	34
10.3.	ოპერატორები	34
11.	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	35
12.	რჩევები მწარმოებლებისთვის	35
13.	წყაროები	39

1. ტერმინოლოგია

მწარმოებელი

პირი, რომელიც ახორციელებს მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქტის (პროდუქტი, რომელიც თავისი სასიცოცხლო ციკლის ამონურვის შემდეგ სპეციფიკური ნარჩენი ხდება) საქართველოს ბაზარზე პირველად განთავსებას, მათი გაყიდვის ფორმის მიუხედავად.

სპეციფიკური ნარჩენი

ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა).

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

მგვ

გარემოსდაცვითი მიდგომა, რომელიც მოიცავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას საკუთარ პროდუქტზე, ამ პროდუქტის მოხმარების შემდგომ ეტაპზე, პროდუქტის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაცია

მგვ-ის ორგანიზაცია

მწარმოებლების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შექმნილი არასამწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია მწარმოებლების გაფართოებული ვალდებულებების შესრულებაზე.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის სქემა

შემდგომში - მგვ-ის შესაბამისობის სქემა

ღონისძიებების სისტემა, რომელიც ხორციელდება მწარმოებლების მიერ, ბაზარზე განთავსებული საკუთარი პროდუქტის ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მასზე ფინანსური ან ფინანსური და ორგანიზაციული პასუხისმგებლობის აღების უზრუნველსაყოფად. არსებობს მგვ-ის შესაბამისობის ინდივიდუალური და კოლექტიური სქემა.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის ინდივიდუალური სქემა

მგვ-ის ინდივიდუალური სქემა

ლონისძიებების სისტემა, როცა ცალკეული მწარმოებელი, ინდივიდუალურად, საკუთარი რესურსებით ქმნის მგვ-ის ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და ტრანსპორტირებას შესაბამის ავტორიზებულ ობიექტზე, აღდგენის (მათ შორის რეციკლირების) მიზნით.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიური სქემა

მგვ-ის კოლექტიური სქემა

ლონისძიებების სისტემა, როცა ერთზე მეტი მწარმოებელი ქმნის მგვ-ის ორგანიზაციას, რომელიც თავისი წევრი მწარმოებლების რესურსებით, წილობრივი შენატანებით (რეციკლირების წინასწარი შენატანი) უზრუნველყოფს მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტებისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და ტრანსპორტირებას შესაბამის ავტორიზებულ ობიექტზე, აღდგენის (მათ შორის რეციკლირების) მიზნით.

რეციკლირების წინასწარი შენატანი

წილობრივი შენატანი, რომელსაც მგვ-ის ორგანიზაციის წევრი უხდის მგვ-ის ორგანიზაციას, მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების მართვისთვის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბაზარზე განთავსება

ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებლისთვის პროდუქტის მიწოდება ან მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსასყიდლოდ ან საფასურის სანაცვლოდ, რაც ასევე მოიცავს პროდუქტის იმპორტს ქვეყნის ტერიტორიაზე. ბაზარზე განთავსებად არ ითვლება იმპორტირებული პროდუქტის ექსპორტი, თუ ექსპორტი დასტურდება საბაჟო დეკლარაციით.

დისტრიბუტორი

იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც უზრუნველყოფს მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობას. დისტრიბუტორი შეიძლება ამავე დროს იყოს მწარმოებელიც.

ოპერატორი

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვების, ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ან ნარჩენების დამუშავების ობიექტის ან ასეთი ობიექტის ნაწილის მართვის უფლება.

2. ნარჩენების მართვის პოლიტიკა საქართველოში

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნა და დანერგვა გარემოს დაცვის სფეროში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროდირექტივებთან, ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების და ტექნოლოგიების ეტაპობრივ დანერგვას ქვეყანაში.

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა და შემდგომში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 15 იანვარს. კოდექსი ითვალისწინებს ნარჩენების მართვის 5-საფეხურიანი იერარქიის სისტემის დანერგვას, სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენის და განთავსების მოთხოვნებს და ვალდებულებებს, ასევე, ნარჩენების მართვის დაგეგმვის, აღრიცხვის, რეგისტრაციის, ნებართვის გაცემის და კონტროლის საკითხებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდექსი ასევე ითვალისწინებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) პრინციპის დანერგვას, რომელიც ნარჩენების მართვის ერთ-ერთი უმთავრესი და წარმატებული მოდელია, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

3. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ქვეშ ექცევა შემდეგი სპეციფიკური ნარჩენები:

- შეფუთვის ნარჩენები (პლასტმასი, ქაღალდი, ლითონი, მინა, ხე)
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები
- ნარჩენი ზეთები

- საბურავების ნარჩენები
- ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები
- ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები



მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ხელს უწყობს:

- ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და რესურსად გამოყენებას
- ნარჩენების ხელახალი გამოყენების, რეციკლირების და ადდგენის ტექნოლოგიების დანერგვას
- ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შემცირებას
- სახიფათო ნარჩენების უსაფრთხოდ დამუშავებას
- სხვადასხვა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლში ჩართული ყველა ოპერატორის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი, მომხმარებელი, შემგროვებელი, დამშლელი, რეციკლირების განმახორციელებელი და ექსპორტიორი) საქმიანობის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას
- ახალი სანარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნას
- ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 25 მაისს დამტკიცდა 4 ტექნიკური რეგლამენტი:

- „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება N324)
- „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება N325)
- „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება N326)
- „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება N327)

თითოეული ტექნიკური რეგლამენტი მოიცავს მგვ-ის შესრულებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წესებსა და მოთხოვნებს, კერძოდ:

- მწარმოებლების (მათ შორის იმპორტიორების) მიერ მგვ-ის განხორციელების მიზნით ინდივიდუალური და კოლექტიური შესაბამისობის სქემების, მგვ-ის ორგანიზაციების შექმნის და ავტორიზაციის ვალდებულებებსა და მოთხოვნებს
- მგვ-ის რეესტრის შექმნის და მწარმოებლების რეგისტრაციის წესებს
- ჩართული მხარეების უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს
- თითოეული სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების ტექნიკურ მოთხოვნებს
- მგვ-ის ეტაპობრივად დანერგვის მიზნით ნარჩენების რეციკლირების/აღდგენის მიზნობრივ მაჩვენებლებს
- კონტროლის მექანიზმებს და სხვა

4. მგვ და ცირკულარული ეკონომიკა

მგვ-ის მიზანია ნარჩენების მართვის სისტემის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესება და იმ ფინანსური რესურსების მობილიზება, რომლებიც საჭიროა ნარჩენების ხელახალი გამოყენების, სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების, აღდგენის ან/და სხვაგვარად დამუშავების უზრუნველსაყოფად და ის ეფუძნება „**დამბინძურებელი იხდის**“ პრინციპს, რომელიც გარემოსდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ქვაკუთხეა.


მგვ ხელს უწყობს ნარჩენების სექტორის ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყანაში სხვადასხვა საშუალო ადგილების შექმნას. მგვ პირდაპირ კავშირშია მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის განვითარებასთან.

ნარჩენების მართვის იერარქია ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემების ეფექტიანად ამოქმედება უზრუნველყოფს:

- მწარმოებლების მიერ პროდუქტის წარმოებას
- ბაზარზე განთავსებას
- გამოყენების შემდგომ ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას
- ხელახლა გამოყენების მიზნით აღდგენას
- რეციკლირების შემდგომ კვლავ ბაზარზე განთავსების უწყვეტ ციკლში რესურსდამზოგი მიდგომების მხარდაჭერას
- მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ეროვნულ დონეზე
- გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების შექმნას და განვითარებას, ნარჩენების რეციკლირებას ან/და სხვაგვარი აღდგენისთვის ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსების შემცირებას

გემოლნიშნული ღონისძიებების ერთობლიობა უზრუნველყოფს სათბური აირების შემცირებას და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას ქვეყანაში.



5. საერთაშორისო გამოცდილება მგვ-ის განხორციელებაში

ნარჩენების ხელახალი გამოყენების გასაძლიერებლად და ნარჩენების პრევენციის, რეციკლირებისა და აღდგენის მიზნით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ როგორც საკანონმდებლო, ასევე კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე, რომელიც აწარმოებს, განათავსებს, ყიდის ან იმპორტიორია, გავრცელდეს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება. ღონისძიებების ერთობლიობა ქმნის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემებს, რომლის საშუალებითაც ვრცელდება განსაზღვრული ზოგადი მინიმალური მოთხოვნები ქვეყნებზე.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მგვ-ის სქემებმა:

- მკაფიოდ განსაზღვრონ ყველა ჩართული მხარის როლი და პასუხისმგებლობა (მწარმოებლები, მგვ სქემების განმახორციელებელი ორგანიზაციები, ნარჩენების ოპერატორები, ადგილობრივი უწყებები).
- ხელახლა გამოიყენონ ნარჩენები პირდაპირი დანიშნულებით ან როგორც რესურსი ახალი პროდუქტის მისაღებად.
- მოამზადონ ოპერატორები და სოციალური საწარმოები ნარჩენების ხელახალი გამოყენებისათვის.
- განსაზღვრონ ნარჩენების მართვის გაზომვადი მიზნები ნარჩენების იერარქიის შესაბამისად და მიაღწიონ, სულ მცირე, შესაბამისი დირექტივებით განსაზღვრულ რაოდენობრივ მიზნებს.
- შექმნან ანგარიშგების სისტემა, რომელიც შეაგროვებს მონაცემებს მწარმოებლების მიერ ბაზარზე მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქტების შესახებ.
- ჩააყენონ პროდუქტების მწარმოებლები თანაბარ მდგომარეობაში მცირე და საშუალო საწარმოების ჩათვლით.
- მიაწოდონ ინფორმაცია ნარჩენების მფლობელებს მგვ-ის სქემებთან დაკავშირებით.
- მიიღონ წამახალისებელი ზომები ნარჩენების მფლობელებისათვის, სეპარირებული შეგროვების არსებულ სისტემებში ჩართვის მიზნით.

მწარმოებელი ავალდებულებს მგვ-ის ორგანიზაციას, რომ:

- მკაფიოდ განსაზღვროს გეოგრაფიული არეალი.
- უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვების სისტემის სათანადო ხელმისაწვდომობა.
- ვალდებულებების შესასრულებლად უზრუნველყოს აუცილებელი საოპერაციო და ფინანსური სახსრები.

- შეიმუშაოს თვითკონტროლის ადეკვატური მექანიზმი, რომელსაც რეგულარულად ჩაუტარდება დამოუკიდებელი აუდიტი, რათა შეფასდეს:

ორგანიზაციის ფინანსური მართვა

შეგროვებული მონაცემებისა და ანგარიშგების ხარისხი

- უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის საჯაროობა:

დამფუძნებლები

რეციკლირების ფინანსური შენატანები

ნარჩენების მართვის ოპერატორების შერჩევის პროცედურები

მგვ-ის შესრულების მიზნით მწარმოებლების მიერ რეციკლირების ფინანსური შენატანები:

- ფარავს ევროკავშირის ფარგლებში ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ნარჩენების მართვის ხარჯებს, ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ხარჯის ჩათვლით:

სეპარირებული შეგროვების, დახარისხებისა და დამუშავების ოპერაციების ხარჯებს, მათ შორის ხელახალი გამოყენებიდან ან მათგან მიღებული პროდუქტების მეორადი ნედლეულის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

ნარჩენების მფლობელებისათვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების ხარჯებს.

მონაცემთა შეგროვებასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებულს ხარჯებს.

- ეფუძნება ინდივიდუალური ან მსგავსი პროდუქტების ხმარებიდან ამოღების რეალურ ხარჯებს, კერძოდ კი, მათი ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასიცოცხლო ციკლის მიდგომის გამოყენებით.
- არ უნდა აჭარბებდეს ნარჩენების მართვის მომსახურების აუცილებელ ხარჯებს და ის გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

6. ვის ეხება მგვ საქართველოში?

საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ქვეშ ექცევიან ის მწარმოებლები და იმპორტიორები, რომლებიც ახორციელებენ მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქციის - ბატარეები და აკუმულატორები, ზეთები, საბურავები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები საქართველოს ბაზარზე პირველად განთავსებას (პირველი მომწოდებელი ბაზრისთვის - უშუალო მწარმოებელი ანდა იმპორტიორი, რომელიც პროდუქტის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს), მათი გაყიდვის ფორმის მიუხედავად.

მგვ-ს დაქვემდებარებული პროდუქტის მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია 2022 წლის 1 ივნისამდე გაიაროს რეგისტრაცია მგვ-ის რეესტრში და შეიტანოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს ბაზარზე ყოველწლიურად განთავსებული პროდუქტის სახეობისა და წონის შესახებ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფუნქციონირებს მგვ-ის რეესტრი (waste.mepa.gov.ge).

2022 წლის 1 ივლისს შესაბამისი მგვ-ს დაქვემდებარებული პროდუქციის დისტრიბუტორები ვალდებული არიან, ბაზარზე არ განათავსონ იმ მწარმოებლების მიერ მოწოდებული პროდუქტები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული მგვ-ის რეესტრში (waste.mepa.gov.ge) და არ არიან მგვ-ის ორგანიზაციის წევრები ან არ აქვთ შექმნილი ინდივიდუალური მგვ -ის ორგანიზაცია.

7. როგორ უნდა შეიქმნას მგვ-ის ორგანიზაცია?

მწარმოებელი ვალდებულია, შექმნას მგვ-ის ორგანიზაცია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალური მგვ-ის ორგანიზაციის მქონე მწარმოებლის ან კოლექტიური მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების (ჯამურად) ბაზრის წილი უნდა შეადგენდეს მთლიანი ბაზრის არანაკლებ 10%-ს. როგორც მწარმოებლის მიერ ინდივიდუალურად, ასევე მწარმოებლების გაერთიანების შედეგად შექმნილი თითოეული მგვ-ის ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ააიპ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების

შესრულების მიზნით, გათვალისწინებულია მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ მგვ კოლექტიური ან ინდივიდუალური სქემების შექმნის შესაძლებლობა. განსაზღვრულია ასეთი სქემების (მგვ-ის ორგანიზაციების) დაარსების, ავტორიზაციისა და ფუნქციონირების კონკრეტული წესები. საქმიანობის დაწყებამდე მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა მიიღოს **ავტორიზაცია** (უფლებამოსილება ვალდებულებების შესასრულებლად) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან, რისთვისაც მწარმოებლები ვალდებულები არიან შექმნან მგვ-ის ორგანიზაცია ინდივიდუალურად ან სხვა მწარმოებლებთან ერთობლივად და სამინისტროს წარუდგინონ შესაბამისი განაცხადი ავტორიზაციის მისაღებად, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით. მგვ-ის ორგანიზაცია უნდა იყოს არამომგებიანი.

განაცხადი უნდა შეიცავდეს 2020 წლის 25 მაისის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტებით („ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N324), „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N325), „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N326), „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ (N327) მოთხოვნილ ინფორმაციას:

- განაცხადის წარმდგენი
- არსებული მდგომარეობის აღწერა
- მგვ-ის ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები
- გეოგრაფიული დაფარვის არეალი
- ნარჩენების მართვის მეთოდების აღწერა
- მგვ-ის შესაბამისობის სქემის ტექნიკური და ეკონომიკური შეფასება
- ბიუჯეტი
- მგვ-ის ორგანიზაციის წინასწარი ხელშეკრულებები სუბიექტებთან, ანუ პირებთან, რომლებიც მონაწილეობენ ნარჩენების მართვაში - დისტრიბუტორები, შემგროვებლები, დამუშავების, აღდგენისა და რეციკლირების უფლებამოსილი ობიექტები და ა.შ.
- საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, რომელთა ჩატარებასაც მგვ-ის ორგანიზაცია გეგმავს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს წარდგენილ განაცხადს და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში უფლებამოსილია 30 დღის ვადაში მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. სამინისტრო ვალდებულია, ავტორიზაციის გადაწყვეტილება მიიღოს 3 თვის ვადაში განაცხადის შეტანის დღიდან ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის დღიდან.

გადაწყვეტილება მგვ-ის ორგანიზაციის ავტორიზაციის შესახებ ძალაშია 6 წლის განმავლობაში.

მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია, ავტორიზაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში დარეგისტრირდეს მგვ-ის რეესტრში - waste.mepa.gov.ge და ასახოს ინფორმაცია მგვ-ის ორგანიზაციის საქმიანობისა და წევრების შესახებ. მგვ-ის რეესტრში ინფორმაციის სრულად ასახვის შემდეგ, ორგანიზაციას ენიჭება უნიკალური კოდი და ითვლება რეგისტრირებულად.

მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია 6 თვეში ერთხელ (1 აგვისტომდე და 1 თებერვლამდე) წარუდგინოს სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული ინფორმაცია იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობის (წონა სახეობების მიხედვით ტონებში) შესახებ მგვ-ის რეესტრის საშუალებით ელექტრონულად.

მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია, მიაღწიოს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მგვ დაქვემდებარებული სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივ მაჩვენებლებს.



8. მგვ-ის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშების საკითხები

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განსახორციელებლად მგვ-ის ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად დაგეგმოს და განახორციელოს სპეციფიკური ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, დახარისხება და დამუშავება ან დამუშავებისათვის გადაცემა. ასევე, მნიშვნელოვანია, მგვ-ის ორგანიზაციამ:

- უზრუნველყოს თანამშრომლობა უფლებამოსილ ოპერატორებთან, ანუ ნარჩენების შემგროვებლებთან და გადამამუშავებელ საწარმოებთან.
- შექმნას მდგრადი ფინანსური საფუძველი, რომ მიღწეულ იქნას ნარჩენების რეციკლირების/აღდგენის მიზნობრივი მაჩვენებლები.
- ჰქონდეს პროდუქტისა და მასალების თვალსაზრისით მკაფიოდ განსაზღვრული გეოგრაფიული დაფარვა და არ შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ტერიტორიით, სადაც ნარჩენების მართვა ყველაზე მომგებიანია.
- შექმნას ფინანსური თვითმონიტორინგისათვის სრულყოფილი მექანიზმი და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება, რომ შეაფასოს ორგანიზაციის ფინანსური მართვა, მწარმოებლების მიერ გადახდილი წილობრივი შენატანები, მგვ-ის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და სამინისტროში წარდგენილი მონაცემების სისწორე.
- წარუდგინოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები, ინფორმაცია და ანგარიშები მგვ-ის შესაბამისობის სქემების მუშაობის, ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის, რეციკლირებული და აღდგენილი ნარჩენის რაოდენობისა და ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის შესახებ.
- ყოველწლიურად საანგარიშო წლის წინა კალენდარული წლის 1 ნოემბრამდე შესათანხმებლად წარუდგინოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს კონკრეტული

სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მართვის ღონისძიებების ბიუჯეტს და გეგმას. მგვის სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების კომპონენტს. სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ღონისძიებებს, მათ მიზნებს, განხორციელების საშუალებებს, ვადებს და შესაბამის ხარჯებს.

- წარუდგინოს თავისი საქმიანობის დეტალური წლიური ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 30 აპრილამდე.

ნარჩენების მართვის იერარქია



პრევენცია

ხელახალი გამოყენებისთვის მოზადება

რეციკლირება

სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერჯის აღდგენა

განთავსება

9 კანონმდებლობა

9.1 ბატარეები და აკუმულატორების მართვა

ბატარეებისა და აკუმულატორების ბაზარი მუდმივად მზარდია მთელს მსოფლიოში. მათი უმეტესობა შეიცავს ისეთ სახიფათო ნივთიერებებს, როგორცაა: ვერცხლისწყალი, კადმიუმი, მანგანუმი, ტყვია, ნიკელი, თუთია, ლითიუმი და სხვა მეტალები და სახიფათო ნაერთები. ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების არასათანადო მართვა და გარემოში ან ნაგავსაყრელებზე განთავსება იწვევს მნიშვნელოვან დაბინძურებას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოზე. გარდა ამისა, ბატარეებისა და აკუმულატორების შესაბამისი სტანდარტების დაცვის გარეშე დამუშავება იწვევს ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებას და სახიფათო ნივთიერებების გარემოში, მათ შორის წყალში მოხვედრას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება (N324, 25.05.2020) „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ წესებსა და მოთხოვნებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული ყველა სახის ბატარეებისა და აკუმულატორების მიმართ მათი ფორმის, ზომის, წონის, შემადგენლობისა და დანიშნულების მიუხედავად და მიზნად ისახავს ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან სხვაგვარად აღდგენას ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშესაწყობად. ეს ტექნიკური რეგლამენტი არ ცვლის ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ სხვა, მათ შორის, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავებისადმი დადგენილ მოთხოვნებს.

ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

ისეთ ბატარეებსა და აკუმულატორებზე, რომლებიც გამოიყენება:

- ქვეყნის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ სამხედრო დანიშნულების მოწყობილობებში, იარაღში, საშუალებებსა და მასალებში.
- კოსმოსში გასაშვებად განკუთვნილ მოწყობილობებში.

- ფიზიკური პირის მიერ 30 კალენდარულ დღეში ერთხელ, ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის ბატარეებსა და აკუმულატორებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

მგვ-ის ორგანიზაციების ვალდებულებას წარმოადგენს ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების, მათ შორის ხელახალი გამოყენების, აღდგენისა და რეციკლირების, ასევე საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება.

რეციკლირების ეროვნული მაჩვენებლების მიზნის მისაღწევად მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს ბატარეების და აკუმულატორების ნარჩენების მართვის სფეროში ჩართულ ოპერატორებთან. მომხმარებლისგან ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მისაღებად გათვალისწინებული შეგროვების პუნქტები მოეწყობა ძირითადად მაღაზიებში, სუპერმარკეტებში, სკოლებში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლებისთვის. შეგროვების პუნქტებში შეგროვებული ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები გადაეცემა რეციკლირების ან/და აღდგენის ობიექტებს. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვაში ჩართული მხარეების ვალდებულებებს და აგრეთვე შეგროვებასა და აღდგენა/რეციკლირებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებს.

ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების მიერ ორგანიზაციისთვის რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდით. რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობას თავისი წევრებისთვის განსაზღვრავს მგვ-ის ორგანიზაცია და იგი შეესაბამება კონკრეტული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის ბაზრის წილს.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტით დადგენილია ბატარეებისა ან/და აკუმულატორების შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები ეტაპობრივად, 2023 წლიდან 2032 წლამდე. მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა მგვ-ის ორგანიზაციის მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს.

2027 წლის 1 იანვრიდან აკრძალულია შემდეგი სახის ბატარეების ან/და აკუმულატორების ბაზარზე განთავსება:

- ყველა სახის ბატარეები და აკუმულატორები, რომლებიც შეიცავენ მათი წონის 0,0005 %-ზე მეტი ოდენობის ვერცხლისწყალს
- პორტატული ბატარეები და აკუმულატორები, რომლებიც შეიცავენ მათი წონის 0,002 %-ზე მეტი ოდენობის კადმიუმს

აკრძალვა არ ეხება ისეთ პორტატულ ბატარეებსა და აკუმულატორებს, რომლებიც განკუთვნილია:

- ავარიული და საგანგაშო სისტემებისთვის, ავარიული განათების სისტემების ჩათვლით
- სამედიცინო მოწყობილობებისთვის

ბატარეები და აკუმულატორები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, მაგრამ კანონიერად იყო ბაზარზე ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული აკრძალვების ძალაში შესვლამდე, შეიძლება დატოვებულ იქნეს ბაზარზე, მათი მარაგების ამონურვამდე.

ბატარეებისა და აკუმულატორების შემოღების მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით

სახეობა წელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
პორტატული ბატარეა, პორტატული აკუმულატორი (ბაზარზე განთავსებული რაოდენობიდან)	5%	10%	15%	20%	25%	30%	35%	40%	45%	50%
საავტომობილო აკუმულატორი (წარმოქმნილი წარჩენებიდან)	80%	90%	95%	95%	95%	95%	98%	98%	98%	99%
სამრეწველო ბატარეა ან სამრეწველო აკუმულატორი (წარმოქმნილი წარჩენებიდან)	80%	90%	95%	95%	95%	95%	98%	98%	98%	99%

ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების რეციკლირების მარკენაბლები წლების მიხედვით

სახეობა წელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
ტყვია-მუავა ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები	50%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%
ნიკელისა და კადმიუმის ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენი	60%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%
სხვა ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენი	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%



✓ **გაქანიუპი ჩეკლაგენფი ქალაქია 2020 წლის 1 სექტემბერიდან**

9.2 საბურავების ნარჩენების მართვა

საქართველოში საბურავების ნარჩენების მართვისთვის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის მიზანშეწონილობა განპირობებულია დღეის მდგომარეობით ამ სფეროში არსებული სირთულეებითა და გამოწვევებით. საქართველოში იმპორტირებული საბურავების წონამ 2017 წელს შეადგინა 32272,1 ტონა. საბურავების ნარჩენების არასათანადო მართვა და გარემოში ან ნაგავსაყრელებზე განთავსება იწვევს მნიშვნელოვან დაბინძურებას, ვინაიდან არ განიცდის ბიოდეგრადაციასა და ფოტოქიმიურ დაშლას, ამტანია ქიმიური რეაგენტებისა და მაღალი ტემპერატურის მიმართ. საბურავების ნარჩენების დაშლა რეზინის, მეტალისა და ტექსტილის ნაწილებად რთულია, ამიტომ ხშირად ხდება მხოლოდ მეტალის ნაწილების ამოღება, ხოლო დანარჩენი კომპონენტების ნარჩენები კი არალეგალურად იწვება და ატმოსფერულ ჰაერში ტოქსიკური ნივთიერებების გაფრქვევის წყარო ხდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება (N325, 25.05.2020) „საბურავების ნარჩენების მართვის“ ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ წესებსა და მოთხოვნებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების, ძრავიანი ორთქლიანი სატრანსპორტო საშუალებების საბურავების მიმართ. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს საბურავების ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან სხვაგვარად აღდგენას ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობისთვის.

ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

- ველოსიპედების საბურავებზე და ისეთ საბურავებზე, რომელთა გარე დიამეტრი 1400 მმ-ს აღემატება;
- ფიზიკური პირის მიერ 30 კალენდარულ დღეში ერთხელ, ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საბურავებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი საბურავების მწარმოებლებს/იმპორტიორებს უწესებს საბურავების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ვალდებულებებს.

მგვ-ის ორგანიზაციების ვალდებულებას წარმოადგენს საბურავების ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების, მათ შორის ხელახალი გამოყენების, აღდგენისა და რეციკლირების, აგრეთვე ფართო საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი

დონისძიებების განხორციელება. რეციკლირების ეროვნული მაჩვენებლების მიზნის მისაღწევად მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს საბურავების ნარჩენების მართვის სფეროში ჩართულ ოპერატორებთან. მომხმარებლისგან საბურავების ნარჩენების მისაღებად გათვალისწინებული შეგროვების პუნქტები უნდა მოეწყოს ძირითადად ისეთ ადგილებში ან ობიექტებზე, სადაც მოხდება საბურავების გამოცვლა, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. შეგროვების პუნქტებში შეგროვებული საბურავების ნარჩენები გადაეცემა რეციკლირების ან/და აღდგენის ობიექტებს.

საბურავების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების მიერ ორგანიზაციისთვის რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდით. რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობას თავისი წევრებისთვის განსაზღვრავს მგვ-ის ორგანიზაცია და იგი შესაბამეა კონკრეტული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის ბაზრის წილს.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტით დადგენილია საბურავების აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები ეტაპობრივად, 2023 წლიდან 2032 წლამდე. მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა მგვ-ის ორგანიზაციის მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს.



✓ **ჩექნიკური რეგლამენტი კალაშია 2020 წლის 1 სექტემბერიდან**

ბაზარზე განთავსებული საბურავების აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით										
აღდგენა/რეციკლირება	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
წელი										
აღდგენა	20%	25%	30%	35%	40%	45%	50%	55%	60%	65%
ენერჯის აღდგენა	10%	12%	15%	18%	20%	23%	25%	27%	30%	32%
რეციკლირება პროტექტორის აღდგენა	10%	13%	15%	17%	20%	22%	25%	28%	30%	33%

9.3 ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვა

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ბაზარი მუდმივად მზარდია მთელ მსოფლიოში. არსებული შეფასებებით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 7,8 კგ. ელექტრო და ელექტრონული ნარჩენი წარმოიქმნება და მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის ზრდა მომავალში. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების უმეტესობა შეიცავს ისეთ სახიფათო ნივთიერებებს, როგორცაა: ვერცხლისწყალი, დარიშხანი, ჰადმიუმი, მანგანუმი, ფოსფორის ქლორიდი, ბრომიდები, დიოქსინები, აზბესტის ნარჩენები და სხვა. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების არასათანადო მართვა და გარემოში ან ნაგავსაყრელებზე განთავსება იწვევს ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას. გარდა ამისა, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესაბამისი სტანდარტების დაცვის გარეშე დამუშავება იწვევს ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებას და სახიფათო ნივთიერებების გარემოში, მათ შორის წყალსა და ნიადაგში მოხვედრას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება (N326, 25.05.2020) „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ წესებსა და მოთხოვნებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებისთვის, რომლებიც დაჯგუფებულია 6 კატეგორიად:

- თბოგამცვლელი ტექნიკა
- ეკრანები, მონიტორები და 100 სმ²-ზე მეტი ფართობის მქონე ეკრანების შემცველი ტექნიკა
- ნათურები (ძველი ვარვარის ნათურების გარდა)
- მსხვილი ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე მეტი)
- მცირე ზომის ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)
- მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)

ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

- ისეთ ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებზე, რომლებიც განკუთვნილია, დამონტაჟებულია ან იმ მოწყობილობების ნაწილს წარმოადგენს, რომლებზეც არ ვრცელდება ეს ტექნიკური რეგლამენტი.
- ვარვარის ელექტრონათურებზე.
- ქვეყნის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ, სამხედრო დანიშნულების იარაღზე, საშუალებებსა და მასალებზე.
- კოსმოსში გასაშვებად განკუთვნილ მოწყობილობებზე.
- დიდი ზომის სტაციონალურ სამრეწველო საშუალებებზე.
- დიდი ზომის ფიქსირებულ დანადგარებზე, გარდა მოწყობილობებისა, რომლებიც თავდაპირველად არ წარმოადგენდა ამ დანადგარების ნაწილს და/ან არ იყო შექმნილი ამ მიზნით.

- სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავი საშუალებისა.
- მხოლოდ პროფესიული დანიშნულებით გამოყენებად არასაგზაო მობილურ მონყობილობებზე.
- მონყობილობებზე, რომლებიც შექმნილია მხოლოდ კვლევებისა და განვითარების მიზნით და არ არის საზოგადოდ ხელმისაწვდომი.
- სამედიცინო მონყობილობებზე და ინ-ვიტრო სადიაგნოსტიკო ხელსაწყოებზე, რომლებიც შესაძლებელია დაინფიცირებული იყოს მათი სასიცოცხლო ციკლის ამოწურვამდე, ან აქტიურ საიმპლანტაციო სამედიცინო ხელსაწყოებზე.
- ფიზიკური პირის მიერ 30 კალენდარულ დღეში ერთხელ, ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის ელექტრო და ელექტრონული მონყობილობები, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

მგვ-ის ორგანიზაციის ვალდებულებას წარმოადგენს ელექტრო და ელექტრონული მონყობილობების ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ტრანსპორტირების, დამუშავების, მათ შორის ხელახალი გამოყენების, აღდგენისა და რეციკლირების, აგრეთვე საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება.

რეციკლირების ეროვნული მაჩვენებლების მიზნების მისაღწევად მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს ელექტრონული მონყობილობების ნარჩენების მართვის სფეროში ჩართულ ოპერატორებთან. ელექტრო და ელექტრონული მონყობილობების ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების მიზნით, მომხმარებლისგან ნარჩენების უსასყიდლოდ მისაღებად გათვალისწინებულია შეგროვების პუნქტებისა და ცენტრების მოწყობა. შეგროვებული ელექტრო და ელექტრონული მონყობილობების ნარჩენები გადაეცემა რეციკლირების ან/და აღდგენის ობიექტებს. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ელექტრო და ელექტრონული მონყობილობების ნარჩენების მართვაში ჩართული მხარეების ვალდებულებებს, აგრეთვე შეგროვებასა და აღდგენა/რეციკლირებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებს.



✓ ზექნიური რეგლამენტი ქალაქშია 2020 წლის 1 სექტემბერიდან

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების მიერ ორგანიზაციისთვის რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდით. რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობას თავისი წევრებისთვის განსაზღვრავს მგვ-ის ორგანიზაცია და იგი შეესაბამება კონკრეტული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის ბაზრის წილს.

ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები ეტაპობრივად, 2023 წლიდან 2032 წლამდე. მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა მგვ-ის ორგანიზაციის მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს.

ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების სეპარირებადი შემოვების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები კატეგორიებისა და წლების მიხედვით %-ში

კატეგორია	წელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
		თბოგამცველი ტექნიკა	20%	25%	30%	45%	50%	53%	55%	57%	58%
ეკრანები, მონიტორები და 100სმ²-ზე მეტი ფართობის მქონე ეკრანების შემცველი ტექნიკა	5%	6%	7%	8%	9%	10%	12%	15%	18%	20%	
ნათურები	20%	25%	30%	35%	40%	45%	50%	60%	70%	80%	
მსხვილი ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე მეტი)	25%	30%	40%	55%	65%	70%	75%	80%	82%	85%	
მცირე ზომის ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)	5%	6%	7%	8%	9%	10%	12%	15%	18%	20%	
მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)	5%	6%	7%	8%	9%	10%	12%	15%	18%	19%	

შემოვებადი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების ხელახალი გამოყენებისათვის მომზადების, აღდგენისა და რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები კატეგორიებისა და წლების მიხედვით


კატეგორია	წელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
		თბოგამცველი ტექნიკა	აღდგენა	54%	56%	61%	66%	72%	76%	80%	83%
ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	50%		55%	60%	65%	70%	72%	74%	76%	78%	80%

კატეგორია		2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
წელი											
ეკრანები, მონიტორები და 100 სმ ² -ზე მეტი ფართობის მქონე ეკრანების შემცველი ტექნიკა	აღდგენა	12%	20%	25%	30%	35%	45%	55%	65%	75%	80%
	ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	10%	15%	20%	25%	30%	40%	50%	60%	75%	80%
ნათურები	აღდგენა	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%
	ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%	80%
მსხვილი ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე მეტი)	აღდგენა	58%	62%	67%	72%	75%	78%	80%	82%	84%	85%
	ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	55%	60%	65%	70%	72%	74%	76%	7%	82%	85%
მცირე ზომის ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)	აღდგენა	15	20	25	30	35	40	45	55	65	75
	ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	10	15	20	25	30	35	40	45	50	55
მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)	აღდგენა	15	20	25	30	35	40	45	55	65	75
	ხელახალი გამოყენება და რეციკლირება	10	15	20	25	30	35	40	45	50	55

9.4 ნარჩენი ზეთების მართვა

ნარჩენი ზეთები განეკუთვნება სახიფათო ნარჩენებს მათ შემადგენლობაში არსებული ისეთი სახიფათო ნივთიერებების გამო, როგორცაა: ფენოლები, ქლორი, თუთიის ნაერთები, ფოსფორი, ქლორირებული ნაერთები, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები და სხვა. ნარჩენი ზეთების არასათანადო მართვა იწვევს მათი გარემოში მოხვედრისა და ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურების მზარდ რისკს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება (N327, 25.05.2020) „ნარჩენი ზეთების მართვის“ ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული წესები და მოთხოვნები საქართველოს ბაზარზე განთავსებული მრეწველობასა და სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებად მინერალურ, სინთეტიკური საპოხი ან სხვა სახის საწარმოო ზეთების მიმართ (ძრავის ზეთი, გადაცემათა კოლოდის ზეთი, საპოხი ზეთი, ტურბინის ზეთი, ჰიდრაულიკური ზეთი და სხვა) და მიზნად ისახავს ნარჩენი ზეთების ხელახალ გამოყენებას, რეგენერაციას ან სხვაგვარად აღდგენას იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ცირკულარულ და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას.



✓ **გაქნილური კომპანისი ქალაშია 2020 წლის 1 სექტემბერიდან**

ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

ფიზიკური პირის მიერ 30 კალენდარულ დღეში ერთხელ, ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილ 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის ნარჩენ ზეთებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

რეციკლირების ეროვნული მაჩვენებლების მიზნების მისაღწევად მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს ნარჩენი ზეთების მართვის სფეროში ჩართულ ოპერატორებთან. მომხმარებლისგან ნარჩენი ზეთის მიღება განხორციელდება შეგროვების პუნქტებში, სადაც ის განთავსდება ამ მიზნისთვის სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში ან ავზებში. შეგროვების პუნქტები მოეწყობა თხევადი საწვავის სადგურებში, ავტომანქანების სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სადგურებში, სამრეწველო ობიექტებში, პორტებში, აეროპორტებსა და სხვა ობიექტებში, სადაც ხდება ზეთების გამოცვლა. შეგროვების პუნქტებში შეგროვებული ნარჩენი ზეთები გადაეცემა რეგენერაციის ან/და აღდგენის ობიექტებს.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ნარჩენი ზეთების მართვაში ჩართული მხარეების ვალდებულებებს და შეგროვებასა და აღდგენა/რეგენერაციასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებს. ნარჩენი ზეთების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების მიერ ორგანიზაციისთვის რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდით. რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობას თავისი წევრებისთვის განსაზღვრავს მგვ-ის ორგანიზაცია და შეესაბამება კონკრეტული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის ბაზრის წილს.

ნარჩენი ზეთების ალღგენისა და რეგენერაციის მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით

ალღგენა/რეგენერაცია წელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
აღდგენა	15%	18%	23%	25%	30%	35%	40%	45%	50%	50%
ენერჯის აღდგენა	7%	9%	10%	12%	15%	17%	20%	23%	25%	25%
რეგენერაცია	8%	9%	10%	13%	15%	18%	20%	22%	25%	25%

10. მგვ-ის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირები

10.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- წარმოადგენს მგვ-ის ორგანიზაციის ავტორიზაციის ორგანოს
- ვალდებულია, შექმნას და აწარმოოს მონაცემთა ბაზა, რომელშიც აღირიცხება ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების, დამუშავებისა და ექსპორტის შესახებ
- განიხილავს და შეითანხმებს მგვ-ის ორგანიზაციის წლიურ სამოქმედო გეგმას 30 დღის ვადაში ან დაუბრუნებს წარმდგენს შენიშვნებით
- შეაფასებს მგვ-ის ორგანიზაციის საქმიანობის დეტალურ წლიურ ანგარიშს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნას
- უფლებამოსილია, განახორციელოს მონიტორინგი და კონტროლი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე კანონმდებლობის შესაბამისად
- შემონშემების ჩასატარებლად უფლებამოსილია, ითანამშრომლოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან. სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება შემონშემების ჩატარებაში
- უფლებამოსილია, მოამზადოს ან დაუკვეთოს სპეციფიკური ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებული კვლევები და ანგარიშები, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროგრამებსა და კვლევებში

- უფლებამოსილია, გააუქმოს მგვ-ის ორგანიზაციის ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ:
 - არ სრულდება ავტორიზაციის გადამწვეტილებაში განსაზღვრული პირობები
 - მგვ-ის ორგანიზაციამ მიმართა სამინისტროს ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნით



10.2. მუნიციპალიტეტები

მუნიციპალიტეტების ფუნქცია-ვალდებულებებში მნიშვნელოვანია მოსახლეობიდან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება და მათ აქვთ კონკრეტული ვალდებულებები:

- ეტაპობრივად დანერგონ ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვება
- შექმნან მოსახლეობისათვის ხელსაყრელი სეპარირებული შეგროვების სქემები და განსაზღვრონ გეოგრაფიული ტერიტორიები, სადაც მოხდება ასეთი სქემების დანერგვა
- ითანამშრომლონ მგვ-ის ორგანიზაციებთან სპეციფიკური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის დადებული შეთანხმებების შესაბამისად

10.3. ოპერატორები

მგვ-ის ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ მხოლოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირებთან, ოპერატორებთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ნარჩენების შეგროვების, დროებითი შენახვის ობიექტის ან ნარჩენების დამუშავების ობიექტის ან ასეთი ობიექტის ნაწილის მართვის უფლება. აგრეთვე, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს სპეციფიკური ნარჩენების დამუშავების ტექნიკური ან/და ტექნოლოგიური შესაძლებლობა, ნარჩენების დამუშავებისათვის უნდა განხორციელდეს მათი ექსპორტი.



11. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

მგვ-ის განხორციელებაში მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია, ნარჩენების მართვის არსებული სქემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მათი მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებას სისტემატურად მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. სამინისტრო უფლებამოსილია, მოითხოვოს საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი ერთობლივი კამპანიების ჩატარება მგვ-ის სხვა ორგანიზაციებთან ერთად. ამისათვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფლებამოსილია, ითანამშრომლოს მგვ-ის ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განხორციელების მიზნით.

თავის მხრივ, სამინისტრო უფლებამოსილია, ყოველი წლის 31 მაისამდე მოამზადოს და სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში/ანგარიშები წინა წელს მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქციის ნარჩენების მართვაში მიღწეული შედეგების შესახებ.

12. რჩევები მწარმოებლებისთვის

1. მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქტის მწარმოებელი ვალდებულია, პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე გაიაროს რეგისტრაცია მგვ-ის რეესტრში (waste.mepa.gov.ge) 2022 წლის 1 ივნისამდე და ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ინდივიდუალური მწარმოებლის შემთხვევაში – სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო კოდი
- იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი
- საქმიანობის სახე

- საკონტაქტო ინფორმაცია
- ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის კოდი
- წინა წლის განმავლობაში და რეგისტრაციის დროისთვის საქართველოს ბაზარზე განთავსებული მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქტის წონა, სახეობების მიხედვით ტონებში და ატვირთოს აღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან
- მომავალი (საპროგნოზო) წლისთვის საქართველოს ბაზარზე განსათავსებელი მგვ-ის დაქვემდებარებული პროდუქტის წონა, სახეობების მიხედვით ტონებში

2. მწარმოებელი ვალდებულია, შექმნას მგვ-ის ორგანიზაცია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. ინდივიდუალური მგვ-ის ორგანიზაციის მქონე მწარმოებლის ან კოლექტიური მგვ-ის ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების (ჯამურად) ბაზრის წილი უნდა შეადგენდეს მთლიანი ბაზრის არანაკლებ 10%-ს. ამისათვის საქმიანობის დაწყებამდე მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ავტორიზაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან. მწარმოებლის მიერ ინდივიდუალურად, ასევე მწარმოებლების გაერთიანების შედეგად შექმნილი თითოეული მგვ-ის ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს არასამეწარმეო (არავომერციული) იურიდიული პირის (ააიპ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

3. საქმიანობის დაწყებამდე მგვ-ის ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ავტორიზაცია (უფლებამოსილება ვალდებულებების შესასრულებლად) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან, რისთვისაც მწარმოებლები ვალდებულები არიან შექმნან მგვ-ის ორგანიზაცია ინდივიდუალურად ან სხვა მწარმოებლებთან ერთობლივად და სამინისტროს წარუდგინონ შესაბამისი განაცხადი ავტორიზაციის მისაღებად, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით. განაცხადი უნდა შეიცავდეს 2020 წლის 25 მაისის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტებით („ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N324), „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N325), „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N326), „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ“ (N327) მოთხოვნილ ინფორმაციას. სამინისტრო განიხილავს წარდგენილ განაცხადს და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში უფლებამოსილია 30 დღის ვადაში მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. სამინისტრო ვალდებულია

ავტორიზაციის გადაწყვეტილება მიიღოს 3 თვის ვადაში განაცხადის შემოტანის დღიდან ან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის დღიდან.

მგვ-ის ორგანიზაციას ავტორიზაცია ეძლევა 6 წლის ვადით.

4.

მგვ-ის ორგანიზაცია ვალდებულია, ავტორიზაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში დარეგისტრირდეს მგვ-ის რეესტრში (waste.mepa.gov.ge) და შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:

- საიდენტიფიკაციო კოდი
- მგვ-ის ორგანიზაციის ავტორიზაციის ბრძანება, რომელსაც გასცემს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საკონტაქტო ინფორმაცია
- კოლექტიური მგვ-ის ორგანიზაციის შემთხვევაში წევრი მწარმოებლის მგვ-ის ორგანიზაციაში წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მათი საიდენტიფიკაციო კოდები

5.


2022 წლის 1 ივლისიდან შესაბამისი მგვ-ს დაქვემდებარებული პროდუქციის დისტრიბუტორები ვალდებული არიან, ბაზარზე არ განათავსონ იმ მწარმოებლების მიერ მოწოდებული პროდუქტები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები მგვ-ის რეესტრში და არ არიან ავტორიზირებული მგვ-ის ორგანიზაციის წევრები (ან არ აქვთ შექმნილი ინდივიდუალური მგვ-ის ორგანიზაცია).

6.

მწარმოებელი/მგვ-ს ორგანიზაცია ვალდებულია, მგვ-ის რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს ბაზარზე ყოველთვიურად განთავსებული პროდუქტის სახეობისა და წონის შესახებ.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების რეესტრი

waste.mepa.gov.ge



The screenshot shows the registration page for the Extended Producer Responsibility (EPR) register. At the top left is the logo of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. The page title is "ნარჩენების მართვის სისტემა" (Waste Management System). Below the title is the text: "სატრადელოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო" (Ministry of Environmental Protection and Agriculture). In the top right corner, there is a phone icon and the text "სამინისტროს ცხელი ხაზი 1501". Below this, there are two icons: a "მენიუ" (Menu) icon and a "ავტორიზაცია" (Authorization) icon. The main content area contains a registration form with the following elements:

- A heading: "ავტორიზაციის გვერდი" (Authorization page)
- A label: "პირადი/მასპორტის ნომერი *" (Personal/Passport number *)
- An input field for the personal/passport number.
- A label: "პაროლი *" (Password *)
- An input field for the password.
- A green button labeled "ავტორიზაცია" (Authorization).
- A link at the bottom: "პაროლის აღდგენა / რეგისტრაცია" (Reset password / Registration).

13. წყაროები

2015 წლის 15 იანვარის საქართველოს კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის დადგენილება N324 „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877915?publication=0>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის დადგენილება N325 „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4877932?publication=0>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის დადგენილება N326 „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877952?publication=0>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის დადგენილება N327 „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4877971?publication=0>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N2-772 „საბურავების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4979391?publication=0>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N2-773 „ნარჩენი ზეთების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4979343?publication=0>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N2-774 „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4979053?publication=0>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N2-775 „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4978838?publication=0>



შენიშვნები



შენიშვნები



სასარგებლო ბმულები



საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

mepa.gov.ge



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

eiec.gov.ge



ნარჩენების მართვის სისტემა

waste.mepa.gov.ge

